რეგისტრირებულია
აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტში
სარეგისტრაციო კოდი
01024001032040000057

აფხაზეთის მთავრობის
დადგენილება N38
2007 წლის 25 დეკემბერი, ქ.თბილისი

განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის თანამდებობის შემოღებისა და განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' აფხაზეთის კანონის 16^1 მუხლის შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანების შესრულების მიზნით:

1.აფხაზეთის მთავრობაში შემოღებულ იქნეს განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის (შემდგომში_ აფხაზეთის მინისტრი) თანამდებობა.

2.აფხაზეთის მინისტრმა განახორციელოს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, აფხაზეთის მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით განსაზღვრული უფლებამოსილებები, აგრეთვე,აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით გათვალისწინებული და სხვა დავალებები.

3.აფხაზეთის მინისტრის საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი (შემდგომში-აფხაზეთის მინისტრის აპარატი).

4.დამტკიცდეს აფხაზეთის მინისტრის აპარატის თანდართული დებულება და სტრუქტურა.

5.აფხაზეთის მინისტრმა დაამტკიცოს მინისტრის აპარატის საშტატო განრიგი.

6.აფხაზეთის მინისტრის აპარატი ჩაითვალოს საგანგებო დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და რეინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის სამართალმემკვიდრედ.

7.აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ (ვ.ჯგუბურია)''აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' აფხაზეთის კანონის პროექტში გაითვალისწინოს აფხაზეთის მინისტრის აპარატის დაფინანსების საკითხი.

8.აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრომ (კ.კუჭუხიძე) უზრუნველყოს სალიკვიდაციო ორგანიზაციების_საგანგებო დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და რეინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ბალანსზე არსებული ქონების აფხაზეთის მინისტრის აპარატის ბალანსზე გადაცემა.

9.დადგენილების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს აფხაზეთის მთავრობის აპარატმა (გ.ჩალაძე).

მუხლი 2.დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე *მ.აკიშბაია*

განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში
აფხაზეთის მინისტრის აპარატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1. აფხაზეთის მინისტრის აპარატი იქმნება ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ''აფხაზეთის კანონის 16^1 მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ აფხაზეთის მინისტრისათვის მიცემული განსაკუთრებული დავალებების შესრულების მიზნით.
2. აფხაზეთის მინისტრის აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით,აფხაზეთის მთავრობის ბრძანებებით.
3. აფხაზეთის მინისტრის აპარატს აქვს დასრულებული ბალანსი და ანგარიში ხაზინაში, ხარჯთა ნუსხა და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.
4. აფხაზეთის მინისტრი განკარგავს აფხაზეთის მინისტრის აპარატის საქმიანობისათვის გამოყოფილ სახსრებს.
5. აფხაზეთის მინისტრის აპარატის ადგილსამყოფელია ქ.თბილისი, ყაზბეგის გამზ.N42; ზემო აფხაზეთი, სოფელი ჩხალთა.

მუხლი 2.აპარატის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებითა და განკარგულებებით მინიჭებული უფლებამოსილების, აგრეთვე, თავისი, კომპეტენციის ფარგლებში, აფხაზეთის მინისტრის საქმიანობის განხორციელების მიზნით მინისტრის აპარატი:

ა) უზრუნველყოფს აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებზე, შესაძლო კონფლიქტური და საგანგებო ვითარების შესახებ ღია წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვებისა და მის ანალიზს;
ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა დაწესებულებებიდან აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური, კრიმინოგენური, სამხედრო და საგანგებო სიტუაციების, ასევე, კონფლიქტების დარეგულირებისა და აფხაზეთიდან დევნილთა დაბრუნების პერსპექტივების ამსახველი სრული ინფორმაციის მოწოდებას;
გ) ახორციელებს ამ მუხლის ,,ბ"პუნქტში აღნიშნული ინფორმაციების და ანალიზს საქათველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თანამდებობის პირთა რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადების მიზნით;
დ) პერიოდულად ამზადებს მასალას აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებისა და მოლაპარაკებისათვის;
ე) მონაწილეობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი აქტების, პროექტებისა და წინადადებების მომზადებაში აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებზე;
ვ) უზრუნველყოფს სამოქალაქო ინტეგრაციის საკითებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციას.
ზ) სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროსში აფხაზეთის მთავრობისათვის შეიმუშავებს შესაბამის ინიციატივებს, წინადადებესა და დასკვნებს;
თ) უზრუნველყოფს საქართველოს ტერტიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ აფხაზეთის მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირების დამყარებას;
ი) საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში, წარმართავს ურთიერთობებს სახელმწიფო და და კერძო სტრუქტურებთან, ასევე, არასამთავრობო ორგანიზიებთან, საინიციატივო ჯგუფებთან და დაინტერესებულ ფიზიკურ პირებთან;
კ) სამთავრობო პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად უზრუნველყოფის სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში სახელწიფო ხელისუფლების ორგანოებთან საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, კონფერენციების, სიმპოზიუმების და სემინარების გამართვას;
ლ) უზრუნველყოფს აფხაზეთის მთავრობის თავჯდომარის სპეციალური დავალების შესრულებას;
მ) ახორციელებს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების განსაზღვრული სხვა ამოცანების შესრულებას;

მუხლი 3. აფხაზეთის მინისტრის აპარატის სტრუქტურა და შემადგენლობა

1. აფხაზეთის მინისტრის აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:Р
ა) სამოქალაქო ინტეგრაციის და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამართველო;
ბ) საინფორმაციო-ანალიტიკური სამართველო;

2. ამ დებულებისა და საშტატო განრიგის შესაბამისად აფხაზეთის მინისტრის აპარატში დგინდება შემდეგი თანამდებობები;
ა) აფხაზეთის მინისტრის პირველი მოადგილე:
ბ) აფხაზეთის მინისტრის მოადგილე;
გ) აფხაზეთის მინისტრის აპარატის უფროსი;
დ) აფხაზეთის მინისტრის აპარატის უფროსის მოადგილე;
ე) სამმართველოს უფროსი;
ვ) სამმართველოს უფროსის მოადგილე;
ვ[1]) აფხაზეთის მინისტრის მთავარი მრჩეველი (აფხ.საკ. მაცნე N3, მუხლი 4, 05.03.2009)
ზ) აფხაზეთის მინისტრის მრჩეველი;
თ) მთავარი ბუღალტერი;
ი) ბუღალტერი;
კ) მთავარი სპეციალისტი;
ლ) უფროსი სპეციალისტი;
მ) სპეციალისტი;

მუხლი 4. აფხაზეთის მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა და საჯარო მომსახურეები

1. აფხაზეთის მინისტრი

ა) აფხაზეთის მინისტრის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს აფხაზეთის მინისტრი რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის მთავრობის თავჯდომარე. მინისტრიეს არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე;

ბ) წარმოადგენს აფხაზეთის მინისტრის აპარატს და აწესრიგებს აფხაზეთის მინისტრის აპარატის გამგებლობისათვის მიკუთვნებულ საკითხებს;

გ) განსაზღვრავს აფხაზეთის მინისტრის მოადგილეების, აფხაზეთის მინისტრის აპარატის სტრუქტურული ერთეულების სამსახურებრივ მითითებებს და დავალებებს კანონით დადგენილი წესით;

დ) განკარგავს აფხაზეთის მინისტრის აპარატის ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს;

ე) კანონით დადგენილი წესით, წყვეტს აფხაზეთის მინისტრის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა დანიშვნის, გათავისუფლებისა, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს;

ვ) ამტკიცებს აფხაზეთის მინისტრის აპარატის საშტატო განრიგს;

ზ) ახორციელებს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი აქტებით მისთვის დაკისრებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

2. აფხაზეთის მინისტრის მოადგილეები

ა)აფხაზეთის მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე, რომლებსაც აფხაზეთის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებსაფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე;
ბ) აფხაზეთის მინისტრის მოადგილეების უფლება-მოსილებანი განისაზღვრება აფხაზეთის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.
3. აფხაზეთის მინისტრის აპარატის უფროსი

ა) მოქმედებს აფხაზეთის მინისტრისა ან/და აფხაზეთის მინისტრის მოადგილეების მითითებით, წარმართავს და კოორდინაციას უწევს აფხაზეთის მინისტრიეს აპარატის მიმიდინარე საქმიანობას;
ბ) უზრუნველყოფს საორგანიზაციო მუშაობის დაგეგმვას, შიდა ღონისძიებათა (თათბირები, სხდომები და ა.შ.) მომზადების ორგანიზებას;
გ) აფხაზეთის მინისტრს წარუდგენს წინადადებებს აფხაზეთის მინისტრის აპარატის მომსახურეთა წახალისებისა და მათ მიმართ დისციპილინარული სასჯელის გამოყენების შესახებ;
დ)ანგარიშვალდებულია აფხაზეთის მინისტრის ან/და აფხაზეთის მინისტრის მოადგილეების წინაშე აფხაზეთის აპარატის ქვედანაყოფების მიერ გაწეული მუშაობის შედეგებზე.
4. აფხაზეთის მინისტრის აპარატის თანამშრომლები
ა) აფხაზეთის მინისტრის აპარატის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით მათთვის დაკისრებულ ამოცანათა შესრულებას.

მუხლი 5. აფხაზეთის მინისტრის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციები
1. საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოს ფუნქციები
ა) აფხაზეთის მინისტრის აპარატში შემოსული ინფორმაციის გადახარისხება და საინფორმაციო კრებსების მომზადება;
ბ) აფხაზეთის კონფლიქტის გარშემო სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებისა და მოლაპარაკებებისათვის მასალის მომზადება;
გ) აფხაზეთის მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებების შესრულება.
2. სამოქალაქო ინტეგრაციის და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველოს ფუნქციები
ა) სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში შესაბამისი ინიციატივების, წინადადებებისა და დასკვნების შემუშავება;
ბ) სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში სამთავრობო პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დაგეგმვა, კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სამინარების მომზადება;

გ) ამ დებულებით განსაზღვრული სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში სხვა ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფა.

3. ადმინისტრაციული სამმართველოს ფუნქციები

ა) საქმისწარმოების ორგანიზება;

ბ) აფხაზეთის მინისტრის აპარატში ოფიციალურად შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია, სისტემატიზაცია და მისი ოპერატიული მიწოდება ხელმძღვანელებისა და შესრულებლებისათვის;

გ) აფხაზეთის მინისტრის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება, შრომის წიგნაკების აღრიცხვის, შენახვისა და გაცემის წარმოება;

დ) აფხაზეთის მინისტრის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლების, შვებულებების, მინისტრის აპარატის მიმდინარე საქმიანობის შესახებ ბრძანებების პროექტების მომზადება;

ე) აფხაზეთის მინისტრის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფა და მინისტრის აპარატში მომზადებული დოკუმენტაციის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;

ვ) აფხაზეთის მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 6. რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი

აფხაზეთის მინისტრის აპარატის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აფხაზეთის მთავრობის დადგენილებით.